

კავკასიის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

2020



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY
WWW.CU.EDU.GE



კავკასიის უნივერსიტეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პრიორიტეტს ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს. აღნიშნული მიზანი ასახულია კავკასიის უნივერსიტეტის მისიაში, რომელიც ხაზს უსვამს კვლევაზე დაფუძნებული სწავლისა და სწავლების ისეთი მიდგომების დანერგვას, რომლებიც პასუხობს საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დემოკრატიულ პრინციპებს.

უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული მიზნები სრულ თანხვედრაშია ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიით განსაზღვრულ ამოცანებთან, ისევე როგორც, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დანერგილ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტებთან.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების დეპარტამენტი, აქტიურად მუშაობს უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს წევრებთან, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და დაინტერესებულ მხარეებთან.

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესის აღწერა



კავკასიის უნივერსიტეტი, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით, თანამშრომლობს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტთან. პარტნიორობა მოიცავს სტუდენტების, ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გაცვლას, ერთობლივი ინსტიტუციური და კვლევითი პროექტების განხორციელებას, სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, მოკლევადიანი პროექტებისა და მასტერკლასების განხორციელებას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას. უნივერსიტეტი ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს + -ის საერთაშორისო მობილობის პროგრამის ფარგლებში ახორციელებს გაცვლით პროექტებს ევროპელ პარტნიორებთან. ამ მიმართულებით, კავკასიის უნივერსიტეტი ქვეყნის მასშტაბით პირველ ადგილს იკავებს კერძო უნივერსიტეტების ნუსხაში. უნივერსიტეტი აგრეთვე ახორციელებს მნიშვნელოვან საგრანტო პროექტებს, რომლებიც დაფინანსებულია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ და ითვალისწინებს ინსტიტუციონალურ განვითარებას, ახალი პროგრამების შემუშავებას, სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, კვლევითი ცენტრების შექმნას საბიბლიოთეკო რესურსის გაზრდასა და სხვადასხვა სახის მხარდამჭერი სერვისების განვითარებას საუნივერსიტეტო ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით.

უნივერსიტეტი განვევრიანებულია არაერთ წარმატებულ საერთაშორისო ასოციაციასა და პროფესიულ ქსელში. უნივერსიტეტის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს "უნივერსიტეტთა პრეზიდენტების საერთაშორისო ასოციაციას", რომელიც აერთიანებს 800-მდე უნივერსიტეტის პრეზიდენტს მსოფლიოს მასშტაბით და არის უნიკალური საგანმანათლებლო პლატფორმა საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებისა და თანამშრომლობის ქსელის განვითარების მიმართულებით. უნივერსიტეტი ახორციელებს ერთობლივ პროგრამებს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან. კავკასიის უნივერსიტეტი პირველია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, რომელმაც 2019 წელს ევროპული კამპუსი გახსნა საფრანგეთში, რენეს ბიზნესის სკოლის ბაზაზე. სართაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით, უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს საერთაშორისო აკრედიტაციისა და აღიარების მოპოვების მიმართულებით. უნივერსიტეტი არის AACSB –ის წევრი და 2018 წელს წარმატებით მოიპოვა აკრედიტაციის პროცესის დაწყების უფლება, ამ ეტაპზე არის თვითშეფასების წარდგენის ფაზაში. კავკასიის უნივერსიტეტის არაერთი პროგრამა Financial Times-ისა და Eduniversal –ის რეიტინგებში მოწინავე პოზიციებს იკავებს. უნივერსიტეტი ასევე ახორციელებს უცხოელი სტუდენტების მოზიდვის აქტივობებს და უზრუნველყოფს მათ ინტეგრაციას საუნივერსიტეტო სივრცეში.



კავკასიის უნივერსიტეტის ხედვა

კავკასიის უნივერსიტეტის ხედვაა ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც ყველას თავისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობა ექნება, რაც მას საერთაშორისო აღიარებასა და ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული უნივერსიტეტის სახელს მოუპოვებს კავკასიის რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ.



კავკასიის უნივერსიტეტის მისია

კავკასიის უნივერსიტეტის მისიაა კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კავკასიის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული ამოცანები:

კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული ამოცანები განაწილებულია სტრატეგიული რუკის შემდეგ ნიშნულებში: მომხმარებელთა ნიშნული, პროცესების ნიშნული და რესურსების ნიშნული.

კავკასიის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული ამოცანები:

C3. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება სტუდენტების დონეზე.

პროცესების ნიშნული:

P1. ადგილობრივი აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებთან უნივერსიტეტის რესურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა.

P3. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე.

P4. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება კვლევითი საქმიანობის დონეზე.

P10. უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებაზე ზრუნვა.

რესურსების ნიშნული:

R3. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დონეზე;

კავკასიის უნივერსიტეტი სტუდენტის დონეზე, ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, უზრუნველყოფს შემდეგი აქტივობების განხორციელებას:

C.3.1. მოიძიებს ახალ პარტნიორებს და აფორმებს თანამშრომლობის ხელშეკრულებებს ევროპის, ამერიკისა და აზიის უნივერსიტეტებთან, რომლის ფარგლებშიც ახორციელებს გაცვლით პროგრამებს(Incoming/Outgoing).

C.3.2. მოიპოვებს საერთაშორისო დონორების დაფინანსებას სტუდენტების მობილობის ხელშეწყობისა და წახალისების მიზნით. ზრდის სტუდენტების საერთაშორისო მობილობების რაოდენობას (Incoming/Outgoing).

- C.3.3. ახდენს საერთაშორისო მობილობის (Incoming/Outgoing) დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას და ახორციელებს თანამშრომლობას სხვადასხვა დონორებთან (EC, DAAD, USAID, Ernst Mach, etc)
- C.3.4. უზრუნველყოფს რეიტინგული სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, არსებული შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად.
- C.3.5. უზრუნველყოფს კონკურსების ორგანიზებასა და სტუდენტების შერჩევას გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისათვის შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად.
- C.3.6. ახდენს მობილობის მხარდამჭერი პროგრამების, მოკლევადიანი პროექტების, საზაფხულო სკოლების, საერთაშორისო კონკურსებისა და სხვა შეთავაზებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას სტუდენტებთან.
- C.3.7. უნივერსიტეტი გეგმავს და ახორციელებს უცხოელი სტუდენტების მოზიდვის კამპანიებს, მონაწილეობს საერთაშორისო გამოფენებში, ფორუმებში, სამიტებში, გეგმავს ინდივიდუალურ გამოფენებს შერჩეულ ქვეყნებში. პროგრამების შესახებ ცნობადობის გაზრდის მიზნით, მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში, აქვეყნებს ინგლისურენოვანი პროგრამების შესახებ ინფორმაციას საერთაშორისო ელექტრონულ პორტალებზე, სოციალურ ქსელებში, ჟურნალებში, ავრცელებს საინფორმაციო ბროშურებს საელჩოების, პარტნიორებისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით.
- C.3.8. პროგრამების მიხედვით ახდენს იმ ქვეყნების იდენტიფიცირებას, საიდანაც სურს სტუდენტების მოზიდვა და იწყებს ამ ქვეყნების ბაზრის შესწავლასა და მოზიდვის გეგმის შემუშავებას. ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტი ახორციელებს მოზიდვას საერთაშორისო აგენტების/შუამავალი ორგანიზაციების ან პარტნიორი უნივერსიტეტების მეშვეობით. ამ მიზნით აფორმებს სტუდენტთა მოზიდვის ხელშეკრულებას საერთაშორისო ან ადგილობრივ აგენტებთან/ შუამავალ ორგანიზაციებთან.
- C.3.9. თანამშრომლობს პროგრამასთან “ისწავლე საქართველოში”, სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებთან, საკონსულოებთან და აშ.
- C.3.10. უცხოელ სტუდენტებს სთავაზობს საერთაშორისო შრომით ბაზარზე მორგებულ სასწავლო პროგრამებს.

C.3.11. ახორციელებს უცხოელი სტუდენტების მხარდაჭერას სხვადასხვა სერვისების შეთავაზებით/უზრუნველყოფით სტუდენტებისა (ჩარიცხვის პროცედურები, სავიზო მხარდაჭერა, საცხოვრებელი ადგილის უზრუნველყოფა, აკადემიური კონსულტაცია და ა.შ.).

C.3.12. უცხოელი სტუდენტების ინტეგრაციისა და ინტერკულტურული გარემოს შექმნის მიზნით, გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებებს, როგორც არის: მიღების წვეულება, ექსკურსიები, საგანმანათლებლო ტურები, კონკურსები, სპორტული აქტივობები და სხვა სთავაზობს სტუდენტურ ცხოვრებაში ინტეგრაციას, უნივერსიტეტში არსებულ კლუბებსა თუ / ჯგუფებში გაწევრიანებით.

საზომი ინდიკატორები:

- სკოლის დონეზე გაცვლითი ადგილების რაოდენობა შეფარდებული სკოლის სტუდენტების რაოდენობაზე;
- საერთაშორისო პროექტების (საზაფხულო პროგრამები, მოკლევადიანი სასწავლო კურსები, საერთაშორისო კონკურსები) შეთავაზების მაჩვენებელი (საუნივერსიტეტო);
- ხარისხის მაძიებელ უცხოელ სტუდენტთა პროცენტული მაჩვენებელი უცხოენოვან პროგრამებზე (სკოლების მიხედვით);
- კავკასიის უნივერსიტეტში მოკლევადიან საერთაშორისო პროგრამებზე ჩამოსულ უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა (საუნივერსიტეტო);
- საერთაშორისო პარტნიორობა რაოდენობა (სკოლების დონეზე);

კავკასიის უნივერსიტეტი საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტებთან უნივერსიტეტის რესურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:



P.1.1 ახდენს იმ პროგრამების იდენტიფიცირებას, რომლებზეც სურს საერთაშორისო აკრედიტაციის მიღება და გეგმავს საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესს.

P.1.2 ახორციელებს AACSB-ის აკრედიტაციის პროცესს.

P.1.3 მონაწილეობას იღებს საერთაშორისო აკრედიტაციებთან დაკავშირებულ სემინარებში, ტენინგებში, კონფერენციებში, შეხვედრებში ა.შ.

P.1.4 თანამშრომლობს საერთაშორისო აკრედიტაციის ექსპერტებთან სხვადასხვა ფორმატში.

საზომი ინდიკატორები

- საერთაშორისო აკრედიტაციის თვითშეფასების სტატუსი;
- საერთაშორისო აკრედიტაციის სტატუსი.

კავკასიის უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, უზრუნველყოფს შემდეგი აქტივობების განხორციელებას:

- P.3.1. საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეიმუშავებს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს;
- P.3.2. არსებულ პროგრამებში ზრდის ინგლისურ ენაზე შეთავაზებული კურსების რაოდენობას (კომპონენტებს) და ახორციელებს სასწავლო კურსების მუდმივ განახლებას. ამასთან, უზრუნველყოფს სწავლების/სწავლის შედეგების გლობალური ბაზრის მოთხოვნებზე მორგებას.
- P.3.3. ერთობლივი პროგრამების განვითარების მიზნით, მოიძიებს საერთაშორისო პარტნიორებს, ახორციელებს ერთობლივ პროგრამებს და მასთან დაკავშირებულ საჭირო პროცედურებს.
- P.3.4. შეიმუშავებს მოკლევადიან სასწავლო პროგრამებს, საბაფხულო სკოლებს, შემდგომში კი ავრცელებს ინფორმაციას და მოიზიდავს უცხოელ სტუდენტებს.
- P.3.5. მუშაობს სხვადასხვა ქვეყნის შესაბამის ინსტიტუტთან კავკასიის უნივერსიტეტის პროგრამებისა და დიპლომის აღიარების მოპოვების მიზნით.
- P.3.6. საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობითა და მათი გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, ნერგავს მოდულური სწავლების სისტემას.

საზომი ინდიკატორები:

- აკრედიტებული უცხოენოვანი პროგრამების რაოდენობა (სკოლების მიხედვით);
- ქართულენოვან აკრედიტებულ პროგრამებში უცხოენოვანი კურსების პროცენტული მაჩვენებელი (პროგრამები მიხედვით);
- ერთობლივი პროგრამების რაოდენობა (Double Degree or/and Joint Degree) (სკოლების მიხედვით).

კავკასიის უნივერსიტეტი კვლევითი საქმიანობის დონეზე ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, უზრუნველყოფს შემდეგი აქტივობების განხორციელებას:



PP.4.1 საერთაშორისო კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით, მოიძიებს და ავრცელებს ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო დონორების დაფინანსების შესაძლებლობებზე.

P.4.2. თანამშრომლობს არსებულ უცხოურ უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებთან. მოიძიებს ახალ პარტნიორებს და აფორმებს ხელშეკრულებებს.

P.4.3. ხელს უწყობს მეცნიერთა მობილობის ზრდას. აფინანსებს აკადემიური პერსონალისა და მეცნიერთა კონფერენციებს. აგრეთვე, ხელს უწყობს მათ საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობას შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო სისტემის შესაბამისად.

P.4.5. მასპინძლობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს, ფორუმებს, სიმპოზიუმებსა და სხვა ღონისძიებებს.

P.4.6. თანამშრომლობს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან. უზრუნველყოფს სამეცნიერო ბაზებისა და „EURAXESS“-ის პლატფორმით სარგებლობისათვის ხელშემწყობი აქტივობების განხორციელებას.


P.4.7. ახორციელებს სადოქტორო პროგრამებს ინგლისურ ენაზე. მუშაობს ერთობლივი სადოქტორო პროგრამის შემუშავებასა და დისერტაციის თანახელმძღვანელობის შესაძლებლობაზე უცხოელ პარტნიორებთან.

P.4.8. ხელს უწყობს უნივერსიტეტის, ბიზნეს სექტორისა და მეცნიერების ურთიერთთანამშრომლობას. აგრეთვე, უზრუნველყოფს კვლევაზე დაფუძნებული ინოვაციური და ტექნოლოგიური პროექტების განხორციელებას, მუშაობს კვლევების კომერციალიზაციის მიმართულებით.

P.4.9. უზრუნველყოფს მეცნიერთა გადამზადებას საერთაშორისო საგრანტო პროექტებისათვის განაცხადების მომზადებაში, სამეცნიერო პროფილის შექმნაში, შემდგომ მართვაში და ა.შ.

საზომი ინდიკატორები:

- საერთაშორისო კვლევითი პროექტების შეთავაზების მაჩვენებელი (საუნივერსიტეტო);
- საერთაშორისო კვლევითი პროექტების რაოდენობა (საუნივერსიტეტო);
- საერთაშორისო (ციტირებისა და აბსტრაქტების მონაცემთა ბაზებში ინდექსირებული) ჟურნალებში გამოქვეყნების მაჩვენებელი (სკოლების მიხედვით);
- აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მაჩვენებელი (საუნივერსიტეტო);
- საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობა (საუნივერსიტეტო).



კავკასიის უნივერსიტეტი საერთაშორისო ცნობადობის ამაღლების მიზნით, უზრუნველყოფს შემდეგი აქტივობების განხორციელებას:



P.10.1 უზრუნველყოფს ახალი პარტნიორების მოძიებასა და თანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმებას.

P.10.2. ინსტიტუციური პროფილის გაძლიერების მიზნით, ინარჩუნებს წევრობას საერთაშორისო ასოციაციებსა და პროფესიულ ქსელებში. ასევე, უზრუნველყოფს ახალ ქსელებში გაწევრიანებას. მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ქსელების ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში.

P.10.3. შეიმუშავებს საერთაშორისო მარკეტინგულ გეგმას. ამზადებს და ავრცელებს შესაბამის მასალებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან.

P.10.4 განსაზღვრავს პრიორიტეტულ სარეიტინგო სისტემებს. ასევე რეიტინგებში წამყვანი პოზიციის დამკვიდრებისათვის

შენარჩუნებისთვის გეგმავს/ახორციელებს საჭირო აქტივობებს

P.10.5. აქტიურად მუშაობს დიპლომატიურ კორპუსთან, დონორებსა და საერთაშორისო პარტნიორებთან. მუდმივ რეჟიმში აწვდის ინფორმაციას კავკასიის უნივერსიტეტის სიახლეებისა და მიღწევების შესახებ.

სთავაზობს სხვადასხვა პროექტებში/ღონისძიებებში მონაწილეობას/ თანამშრომლობას.

საზომი ინდიკატორები:

- საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობა (საუნივერსიტეტო);
- განათლების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღების რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობის მაჩვენებელი;
- ავტორიტეტულ სარეიტინგო სისტემებში უნივერსიტეტის და/ან სკოლების და/ან პროგრამების პოზიცია.

კავკასიის უნივერსიტეტი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დონეზე ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, უზრუნველყოფს შემდეგი აქტივობების განხორციელებას:

R.3.1. მოიპოვებს საერთაშორისო დონორების დაფინანსებას აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ხელშეწყობისა და წახალისების მიზნით.ზრდის საერთაშორისო მობილობების რაოდენობას (Incoming/Outgoing).

R.3.2. უზრუნველყოფს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ინფორმირებას სხვადასხვა საერთაშორისო სტაჟირებისა თუ გადამზადების მოკლევადიან პროგრამებთან დაკავშირებით და ხელს უწყობს მათ მონაწილეობას.

R.3.4. ახორციელებს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის მხარდაჭერის სერვისებს.

R.3.5. უზრუნველყოფს უცხოელი ექსპერტების მოწვევით უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისთვის სხვადასხვა ტრენინგების შეთავაზებას.

R.3.6. მოიძიებს ახალ საერთაშორისო პარტნიორებს და აფორმებს ხელშეკრულებებს.

R.3.7. ახორციელებს უცხოელი აკადემიური პერსონალის მოძიებასა და ხელშეკრულების გაფორმებას.

საზომი ინდიკატორები:

- უცხოელ ლექტორთა თანაფარდობა ქართველ ლექტორებთან (სკოლების მიხედვით);
- გაცვლითი პროგრამების შეთავაზების მაჩვენებელი აკადემიური პერსონალისთვის (საუნივერსიტეტო);
- გაცვლითი პროგრამების შეთავაზების მაჩვენებელი ადმინისტრაციული პერსონალისთვის (საუნივერსიტეტო).

